პროფესიული უნარების ტესტი უფროსი სპეციალური მასწავლებლებისთვის

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.
ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხებიანი, შესაბამისობის და ღია დავალებები (სულ 40 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 54.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე გვერდის მოსაძებნად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასო - a.

ინსტრუქცია

არჩევითპასუხებიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხებიანი დავალებები ერთქულიანია.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 1

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეს ემოციების ამოცნობისა და გამოხატვის სირთულე აქვს, რაც მას პრობლემებს უქმნის კლასელებთან ურთიერთობის დროს. სპეციალურმა მასწავლებელმა მიზნად დაისახა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) ამ მოსწავლესთან ემოციური კომპეტენციის განვითარებაზე ემუშავა.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა შეუწყობს ხელს **ყველაზე მეტად** სსსმ მოსწავლის ემოციური კომპეტენციის განვითარებას?

ა) მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს უჩვენებს ბარათებს, უსახელებს მათზე გამოსახულ ემოციებს და შემდეგ სთხოვს, რომ მასთან ერთად გაიმეოროს თითოეული ემოციის სახელი.

ბ) მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს თანაკლასელებთან ერთად გაათამაშებინებს სოციალურ სიტუაციებს, რა დროსაც ბავშვები გამოხატავენ და ამოიცნობენ სხვადასხვა ემოციას.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

გ) მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს უჩვენებს ემოციების ამსახველ ბარათებს, თან სთხოვს, ამოიცნოს და აირჩიოს ის ბარათი, რომელიც გამოხატავს მის მიერ დასახელებულ ემოციას.

დ) მასწავლებელი კლასს უჩვენებს სიუჟეტურ ბარათებს, სსსმ მოსწავლემ და მისმა თანაკლასელებმა უნდა დაასახელონ ემოცია, რომელიც შეიძლება ჰქონდეს მასზე გამოსახულ პერსონაჟს.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 2

სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ინკლუზიური განათლების პროცესში. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა აღწერს **ყველაზე ზუსტად** მასწავლებლის პორტფოლიოს ფუნქციას?

ა) პორტფოლიო არის ადმინისტრაციული დოკუმენტი, რომელშიც აღირიცხება სსსმ მოსწავლის დასწრება, შეფასებები და ჩატარებული ინდივიდუალური გაკვეთილების რაოდენობა.

ბ) პორტფოლიო წარმოაჩენს მასწავლებლის სწავლების მეთოდების ეფექტიანობას, ცოდნას, მიღწევებს და უნარებს, თუ რამდენად უპასუხებს ისინი სსსმ მოსწავლის საჭიროებებს სასკოლო გარემოში.

გ) პორტფოლიო არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამატებითი დოკუმენტი, საქაღალდე, რომელშიც გროვდება სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული ნამუშევრები და მონიტორინგის შედეგები.

დ) პორტფოლიო არის მასწავლებლის მიერ შექმნილი წლიური ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია მოსწავლის აკადემიური მიღწევების დინამიკა და რომელიც განიხილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შემაჯამებელ შეხვედრაზე.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 3

სპეციალურმა მასწავლებელმა სსსმ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის დროს აღმოაჩინა, რომ მას უჭირს ინსტრუქციების გაგება.

ჩამოთვლილთაგან სპეციალური მასწავლებლის რომელი ქმედება/ქმედებები დაეხმარება მოსწავლეს პრობლემის დაძლევაში?

I. მასწავლებელი დავალებას ყოფს ნაწილებად და თითოეული მათგანის შესრულების წინ იყენებს ვიზუალურად წარმოდგენილ ინსტრუქციებს.

II. მასწავლებელი ინსტრუქციის მიცემის წინ მოსწავლეს მიუთითებს, რომ ყურადღებით მოუსმინოს, შემდეგ კი აწვდის ვერბალურ ინსტრუქციას.

III. მასწავლებელი კლასს უკითხავს ინსტრუქციას და სსსმ მოსწავლეს ეუბნება, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია, დაუსვას შეკითხვები.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 4

სსსმ მოსწავლე ავლენს პრობლემურ ქცევას - როდესაც მასწავლებელი სხვა ბავშვებს უსვამს შეკითხვებს და მას ყურადღებას არ აქცევს, იწყებს ტირილს. მოსწავლის ქცევის დარეგულირების მიზნით, მასწავლებელმა მისთვის ინდივიდუალური ასისტენტის დანიშვნა მოითხოვა.

მასწავლებლის მოთხოვნა:

ა) **მართებულია -** ქცევის პრობლემის მქონე ყველა სსსმ მოსწავლეს ესაჭიროება ასისტენტი, რადგან მასწავლებელს გაკვეთილზე გაუჭირდება დამატებითი დროის გამოყოფა აღნიშნული საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად.

ბ) **მართებული არ არის -** სსსმ მოსწავლე მიეჯაჭვება მისთვის დანიშნულ ასისტენტს, რის გამოც გაუჭირდება საგაკვეთილო პროცესში დამოუკიდებლად მონაწილეობა.

გ) **მართებულია** - ასისტენტის მხარდაჭერის გარეშე ქცევითი პრობლემების მქონე სსსმ მოსწავლეს გაუჭირდება თვითრეგულაცია, რაც სამომავლოდ მის აკადემიურ მოსწრებაზე ნეგატიურად აისახება.

დ) **მართებული არ არის** - სსსმ მოსწავლეს განსაკუთრებული ზრუნვის გამოხატული საჭიროება არ აქვს, ამიტომ მასწავლებელმა სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით თავად უნდა მართოს მოსწავლის ქცევა.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 5

სსსმ მოსწავლეს აქვს სენსორული ინტეგრაციის დარღვევა.

ჩამოთვლილთაგან რა ტიპის პრობლემა/პრობლემები შეიძლება შეექმნას მოსწავლეს კლასში?

I. მოსწავლეს სენსორული დარღვევის გამო შეიძლება გაუჭირდეს კითხვა, რადგან მას, დიდი ალბათობით, დასჭირდება შრიფტის გაზრდა.

II. მოსწავლემ ინტენსიური სტიმულების ძიების მიზნით გაკვეთილის მიმდინარეობის დროს შეიძლება გამოავლინოს ჰიპერაქტიური ქცევა.

III. მოსწავლე სხვადასხვა სტიმულზე მძაფრი რეაგირების გამო შეიძლება ადვილად დაიღალოს, გაღიზიანდეს და ვერ მოახერხოს კონცენტრაცია.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 6

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე დაფიდან ცალკეულ სიტყვებს ადვილად იწერს, მაგრამ უჭირს წინადადებების გადაწერა.

ჩამოთვლილთაგან რომელია ის მოკლევადიანი მიზანი, რომელიც შემუშავებულია ამ მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით?

ა) სსსმ მოსწავლემ უნდა შეძლოს მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი წინადადებების შესაბამისი ილუსტრაციების გაფერადება.

ბ) სსსმ მოსწავლემ უნდა შეძლოს რვეულში მოცემული ნიმუშის მიხედვით წინადადებაში გამოყენებული სიტყვების გამოწერა.

გ) სსსმ მოსწავლემ უნდა შეძლოს მასწავლებლის მიერ წიგნში მონიშნული ორსიტყვიანი წინადადებების რვეულში გადაწერა.

დ) სსსმ მოსწავლემ უნდა შეძლოს მასწავლებლის მიერ დაწერილი წინადადებების რვეულში კარნახით ჩაწერა.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 7

სსსმ მოსწავლეს აქვს სმენის მძიმე დარღვევა და სკოლაში დასწრების ინდივიდუალური განრიგით დადის. მასწავლებელი კლასში დისკუსიას მხოლოდ მაშინ ატარებს, როდესაც სსსმ მოსწავლე არ ესწრება გაკვეთილს.

მასწავლებლის მიდგომა მოსწავლის განვითარების თვალსაზრისით:

ა) **მართებულია,** მასწავლებელმა დისკუსია უნდა წარმართოს მაშინ, როდესაც სმენის დარღვევის მქონე მოსწავლე არ იქნება კლასში, რადგან მას გაუჭირდება ამ აქტივობაში ეფექტიანად ჩართვა, დაითრგუნება და თავს გარიყულად იგრძნობს.

ბ) **მართებული არ არის,** მასწავლებელმა აუცილებლად უნდა ჩართოს სმენის დარღვევის მქონე მოსწავლე დისკუსიაში, რათა იგი შეეჩვიოს ვერბალური ინფორმაციის სწრაფად აღქმას. რაც უფრო ხშირად მიიღებს იგი დისკუსიაში მონაწილეობას, მით უკეთესი შედეგი ექნება.

გ) **მართებულია,** რადგან სმენის დარღვევის მქონე მოსწავლე ვერ გაიგებს თანაკლასელების ნათქვამს დისკუსიის დროს, რაც შეაფერხებს დისკუსიის პროცესს და სხვა მოსწავლეებსაც შეეშლებათ ხელი.

დ) **მართებული არ არის,** რადგან რაც უფრო ხშირად ჩაერთვება სმენის დარღვევის მქონე მოსწავლე მასზე მორგებული პირობებით ჩატარებულ დისკუსიებში, მით უფრო გაუმჯობესდება მისი სოციალური უნარები.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 8

მასწავლებელმა მსხვილი მოტორული უნარების განმავითარებელი აქტივობებისათვის საჭირო რესურსი შეარჩია.

ფოტოებზე მოცემული რომელი რესურსის გამოყენებით დაეხმარება მასწავლებელი მოსწავლეს მსხვილი მოტორული უნარების განვითარებაში?

ა)

ბ)

გ)

დ)

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 9

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გამოთქმული რომელი მსჯელობა/მსჯელობებია მართებული?

I. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეს სტატუსის მინიჭებისათვის აუცილებელია, მოსწავლეს ჰქონდეს რაიმე ისეთი სამედიცინო დიაგნოზი, რომელიც ნეგატიურად ზემოქმედებს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და განაპირობებს სწავლაში გამოხატულ სირთულეებს.

II. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეს სტატუსის მინიჭებისათვის აუცილებელია, მოსწავლეს ჰქონდეს ინტელექტუალური დარღვევა და მისი თანმხლები რომელიმე მდგომარეობა, რის გამოც ექმნება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.

III. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეს სტატუსის მინიჭებისათვის აუცილებელია, მოსწავლეს ჰქონდეს სწავლასთან და/ან სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები და სწავლის დროს საჭიროებდეს დამატებით მხარდაჭერას.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 10

ADHD სინდრომის მქონე სსსმ მოსწავლეს უჭირს ერთ აქტივობაზე ყურადღების ხანგრძლივად შენარჩუნება, ამიტომ საჭიროა მისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) აკომოდაცია.

ჩამოთვლილთაგან რომელია სსსმ მოსწავლისათვის ესგ-ის აკომოდაცია?

ა) მასწავლებელმა ესგ-ის სასწავლო მიზნები შეამცირა და სწავლების პროცესში მეტი თვალსაჩინოების გამოყენება დაიწყო.

ბ) მასწავლებელმა სასწავლო შედეგები წინა საფეხურიდან შეარჩია და სწავლების პროცესში მოსწავლეს გამარტივებული დავალებები შესთავაზა.

გ) მასწავლებელმა ესგ-ით განსაზღვრული მიზნები უცვლელად დატოვა და მოსწავლეს აქტივობები ისე დაუნაწევრა, რომ თითოეულს მცირე დრო დასჭირვებოდა.

დ) მასწავლებელმა სასწავლო მიზნები გაამარტივა და მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალებების რაოდენობა შეამცირა.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 11

სსსმ მოსწავლე ზოგიერთ გაკვეთილს თანაკლასელებთან ერთად ესწრება, ზოგჯერ კი ინდივიდუალურად მუშაობს რესურს ოთახში.

აღწერილი მიდგომა ინკლუზიური განათლების პრინციპებს:

ა) **შეესაბამება**, რადგან სსსმ მოსწავლის რესურს ოთახში გაყვანით თანაკლასელებს ეძლევათ სწავლის მშვიდად გაგრძელების შესაძლებლობა.

ბ) **არ შეესაბამება,** რადგან ინკლუზიური განათლება მოიაზრებს მოსწავლეების ერთად სწავლას, სსსმ მოსწავლის გაკვეთილიდან გაყვანა კი მის დისკრიმინაციას შეუწყობს ხელს.

გ) **შეესაბამება,** რადგან სწავლების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური მუშაობაც.

დ) **არ შეესაბამება,** რადგან სსსმ მოსწავლის გაკვეთილებზე არასისტემატური დასწრება ხელს უშლის მისი როგორც კოგნიტური, ასევე სოციო-ემოციური უნარების განვითარებას.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 12

ჩამოთვლილთაგან მოსწავლის რომელი არასასურველი ქცევა/ქცევები საჭიროებს კრიზისულ ინტერვენციას?

I. როდესაც მოსწავლე სისტემატურად აგვიანებს გაკვეთილებზე და არ ასრულებს საშინაო დავალებებს.

II. როდესაც მოსწავლე ავლენს ისეთ ქცევას, რომელიც რისკის ქვეშ აყენებს მის და/ან სხვა ადამიანების უსაფრთხოებას.

III. როდესაც მოსწავლე ხმაურობს და ხელი ეშლებათ როგორც თანაკლასელებს, ისე მასწავლებელს გაკვეთილის მშვიდად წარმართვაში.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 13

საგაკვეთილო პროცესში სმენის დარღვევის მქონე სსსმ მოსწავლისათვის მასწავლებლის მიერ გამოყენებული აკომოდაციის მაგალითი/მაგალითებია:

I. მასწავლებელი აკონტროლებს კლასში განათებასა და ხმაურის დონეს მოსწავლის საჭიროებების მიხედვით.
II. მასწავლებელი იყენებს სუბტიტრებს გაკვეთილის ახსნისა და მოსწავლეებისათვის ინსტრუქციების მიცემის დროს.
III. მასწავლებელი რთულ ტექსტს ცვლის მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული უფრო მარტივი და განსხვავებული შინაარსის ტექსტით.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 14

სსსმ მოსწავლეს სპორტის გაკვეთილზე უჭირს თამაშის წესების გაგება და ხშირად არღვევს მათ. თანაკლასელები ამის გამო უარს ამბობენ მასთან ერთად გუნდურ თამაშზე.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობით შეძლებს მასწავლებელი სსსმ მოსწავლის ეფექტიან ჩართვას საგაკვეთილო პროცესში?

ა) მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს შეურჩევს მსაჯის როლს და სთხოვს, ყურადღებით ადევნოს თვალი გუნდის თამაშს.

ბ) მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს გუნდური თამაშის დროს სთხოვს, უგულშემატკივროს ხან ერთ, ხან მეორე გუნდს.

გ) მასწავლებელი თანაკლასელებს სთხოვს, თანაგრძნობით მოეკიდონ სსსმ მოსწავლის მიერ წესების დარღვევას.

დ) მასწავლებელი სსსმ მოსწავლისათვის თამაშის წესების ახსნის დროს იყენებს ვიზუალურ მიმანიშნებლებს.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 15

სსსმ მოსწავლეს უჭირს შეგრძნების სხვადასხვა მოდალობით მიღებული ინფორმაციის გადამუშავება და შესაბამისად რეაგირება. ჩამოთვლილთაგან დარღვევის რომელი ფორმაა აღწერილი მოცემულ შემთხვევაში?

ა) მოსწავლეს აქვს ფუნქციური უნარების განვითარების სირთულე.

ბ) მოსწავლეს აქვს ქცევა-ემოციის რეგულაციის სირთულე.

გ) მოსწავლეს აქვს სენსორული ინტეგრაციის დარღვევა.

დ) მოსწავლეს აქვს ფონოლოგიური უნარის დარღვევა.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში - სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე მათგანი შესაძლოა, ორ პირობას შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 16

B სვეტში მოცემულია უნარები, ხოლო A სვეტში ამ უნარების განვითარებისათვის შემუშავებული მიზნები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

მიზანი (A)	უნარი (B)
I. მოსწავლემ უნდა შეძლოს ობიექტების დაჯგუფება ორი ნიშნის ერთდროულად გათვალისწინებით.	ა) აზროვნება ბ) ექსპრესიული ენა
II. მოსწავლემ უნდა შეძლოს სიუჟეტურ ბარათებზე ასახული ამბის გადმოცემა, მოყოლა.	
III. მოსწავლემ უნდა შეძლოს ყოფით მოვლენებთან დაკავშირებული სამი-ოთხი სიუჟეტური სურათის დალაგება სწორი თანმიმდევრობით.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 17

A სვეტში აღწერილია მასწავლებლის ქმედებები, ხოლო B სვეტში დახმარების ფორმები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

ქმედება (A)	დახმარების ფორმა (B)
I. სპეციალური მასწავლებელი რიცხვებს ალაგებს ზრდადობის მიხედვით და შემდეგ მოსწავლეს სთხოვს, გაიმეოროს იგივე.	ა) მოდელირება
II. სპეციალური მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეს: „შენ ორი ხაზი უკვე შეაერთე, ერთი ნაბიჯიღა დაგრჩა, რომ სამკუთხედი გამოვიდეს“.	ბ) მინიშნება
III. სპეციალური მასწავლებელი თასმის შეკვრის სწავლების დროს მოსწავლეს აწვდის ბარათს, რომელზეც უნდა ამოიცნოს მომდევნო მოქმედება.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

დავალება N 18

A სვეტში მოცემულია მოსწავლის მეტყველების თავისებურებების ამსახველი მაგალითები, ხოლო B სვეტში ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევის ტიპები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

მაგალითი (A)	**დარღვევის ტიპი (B)**
I. მოსწავლე ბგერებს გაურკვევლად წარმოთქვამს და მსმენელი, როგორც წესი, ვერ იგებს მის ნათქვამ სიტყვას.	ა) ფონოლოგიური ბ) არტიკულაციური
II. მოსწავლე ვერ გამოთქვამს ზოგიერთ ბგერას და მათ სიტყვებში ყოველთვის სხვა ბგერით ანაცვლებს.	
III. მოსწავლე სიტყვა „რვეული“-ს ნაცვლად ამბობს „ლვეული“, თუმცა სწორად ამბობს „რუკა“-ს.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მისი მაქსიმალური ქულა.

გაითვალისწინეთ: ღია დავალების პასუხში დისკრიმინაციული ტერმინის გამოყენების შემთხვევაში დაგაკლდებათ ერთი ქულა!

დავალება N 19

მაქსიმალური ქულა - 3



„ვერც ვლაპარაკობ, ვერც დავდივარ. მოკლედ, დიდი უმაქნისი ვინმე ვარ. ხელები გახევებული მაქვს, მაგრამ ტელევიზორის პულტის ღილაკებზე თითის დაჭერა და ჩემი ეტლის გადაადგილება შემიძლია. საქმე ისაა, რომ სასწაულად მიჭრის ჭკუა და ფოტოგრაფიული მეხსიერება მაქვს. ათასობით, მილიონობით სიტყვით ვარ გარემოცული... ჩემი მისამართით ან ჩემ შესახებ წარმოთქმულ ყოველ სიტყვას ვისრუტავდი, ვინახავდი და ვიმახსოვრებდი. ერთიც არ გამომრჩენია! მაგრამ მხოლოდ ჩემს გონებაში. მე ცხოვრებაში ერთი სიტყვაც არ მითქვამს. არადა მალე თერთმეტი წლის გავხდები...“

„გონების მიღმა“, შერონ მ. დრეიპერი

- აღწერეთ სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპი, რომელიც უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა ამგვარ სიტუაციაში.
- ახსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი სწავლების უნივერსალური დიზაინის გამოყენება სსსმ მოსწავლეთა ეფექტიანი სწავლებისათვის.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 20

მაქსიმალური ქულა - 3

მასწავლებლის თვითრეფლექსია არის პროფესიული ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეზე მორგებული მიდგომების ჩამოყალიბებას.

- აღწერეთ მასწავლებლის თვითრეფლექსიის ერთ-ერთი მეთოდი.
- ახსენით, როგორ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი მეთოდის გამოყენება მასწავლებელს პროფესიულ განვითარებაში.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 21

მაქსიმალური ქულა - 3

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ქცევითი პრობლემები აქვს. იგი გაკვეთილზე პერიოდულად ხმამაღლა აკეთებს არათემატურ კომენტარებს, რის გამოც მასწავლებელს ხელი ეშლება გაკვეთილის ჩატარებაში.

- აღწერეთ მოდელი, რომელიც უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა მოსწავლის ქცევის ფუნქციის დასადგენად.
- დაასაბუთეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ქცევის ფუნქციის განსაზღვრა მოსწავლის ქცევის მართვის დროს.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

ინსტრუქცია

არჩევითპასუხებიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხებიანი დავალებები ერთქულიანია.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 22

სპეციალური მასწავლებლის მიზანია სსსმ მოსწავლესთან ფუნქციური კითხვის უნარზე მუშაობა.

ჩამოთვლილთაგან სპეციალური მასწავლებლის რომელი აქტივობა შეუწყობს ხელს **ყველაზე მეტად** ფუნქციური კითხვის უნარის განვითარებას?

ა) მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს სწავლების დროს ჯერ ვიზუალურად დაწერილ სიტყვებს აჩვენებს, მერე ხმამაღლა აკითხებს, შემდეგ კი აძერწინებს ან ახატინებს მათ.

ბ) მასწავლებელი თამაშის დროს იყენებს ბარათებს, რომლებზეც გამოსახულია პროდუქტები შესაბამისი წარწერებითა და ფასებით. სსსმ მოსწავლემ უნდა ამოიკითხოს პროდუქტის სახელი და თქვას მისი ფასი.

გ) მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს დაფაზე უწერს მარტივ სიტყვებს, სთხოვს, ისინი ჯერ ნიმუშის მიხედვით ასოებისგან ააწყოს, შემდეგ ტექსტში მოიძიოს და ხმამაღლა წაიკითხოს.

დ) მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს აწვდის ჯერ ნახატებს, შემდეგ დაწერილ სიტყვებს და სთხოვს, ფუნქციის მიხედვით შეუსაბამოს ისინი ერთმანეთს, მაგ: წიგნს - კითხვა.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 23

ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეები უკეთ სწავლობენ, როდესაც გაკვეთილი სტრუქტურირებული და პროგნოზირებადია.

მასწავლებლის მიერ გამოყენებული რომელი სტრატეგია/სტრატეგიები დაეხმარება აღნიშნული პრობლემების მქონე სსსმ მოსწავლეს, ეფექტიანად ჩაერთოს სასწავლო პროცესში?

I. მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღების შესანარჩუნებლად უშუალოდ გაკვეთილის მიმდინარეობის დროს აცნობს მათ მასალას.

II. მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ რა მოლოდინები აქვს მასწავლებელს მათ მიმართ სწავლისა თუ ქცევის თვალსაზრისით.

III. მასწავლებელი წინასწარ უხსნის და აცნობს მოსწავლეებს, თუ რას შეეხება მიმდინარე გაკვეთილი.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 24

სსსმ მოსწავლეს ისტორიის გაკვეთილზე უჭირს ნასწავლი მასალის გახსენება, მნიშვნელოვანი თარიღებისა და მოვლენების დამახსოვრება, რაც ხელს უშლის მასწავლებელს, გადავიდეს ახალ თემაზე.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება დაეხმარება მოსწავლეს **ყველაზე მეტად** აღწერილი სირთულის დაძლევაში?

ა) მასწავლებელი მოსწავლეს თითოეულ მოვლენასთან დაკავშირებით ასარჩევად აძლევს რამდენიმე თარიღს და სთხოვს, შემოხაზოს სწორი ვერსია.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეს რვეულში ჩაუწერს მნიშვნელოვან თარიღებს და პასუხის გაცემის დროს უფლებას აძლევს, ჩაიხედოს.

გ) მასწავლებელი მოსწავლეს ავალებს, შექმნას მნიშვნელოვანი მოვლენების აღმნიშვნელი დროის ხაზი და სთხოვს, გადმოსცეს ამბავი მასზე დაყრდნობით.

დ) მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს, რომ ბარათებზე დაწერილი თარიღები ქრონოლოგიურად დაალაგოს.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 25

მასწავლებელმა შენიშნა, რომ თანაკლასელმა სსსმ მოსწავლე დისკრიმინაციული ტერმინით მოიხსენია.

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედებით გაუმკლავდება მასწავლებელი **ყველაზე უკეთ** აღნიშნულ პრობლემას?

ა) მასწავლებელმა უნდა აუხსნას სსსმ მოსწავლეს, რომ უმჯობესია, თუ რეაგირების გარეშე დატოვებს თანაკლასელის ნათქვამს, რადგან როდესაც ის ამ ქმედებით ვერ მიიღებს მისთვის სასურველ ყურადღებას, მეორედ აღარ გამოიყენებს მსგავს ტერმინს.

ბ) მასწავლებელმა კლასის წინაშე შენიშვნა უნდა მისცეს მოსწავლეს, დაავალოს გაკვეთილების ბოლოს რაიმე სასარგებლო საქმის გაკეთება და სსსმ მოსწავლისათვის ბოდიშის მოხდა, რათა სხვა მოსწავლეებმაც აღარ გამოიყენონ მსგავსი სიტყვები.

გ) მასწავლებელმა ყველა მოსწავლეს უნდა განუმარტოს თანაკლასელის მიერ გამოყენებული დისკრიმინაციული ტერმინის მნიშვნელობა. აღნიშნოს, რომ მსგავსი სიტყვებით ერთმანეთის მოხსენიება მიუღებელია.

დ) მასწავლებელმა უნდა გამართოს დისკუსია მისაღები და დისკრიმინაციული ტერმინების შესახებ. მოსწავლეებმა თავად გამოიტანონ დასკვნა, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ერთმანეთის დამამცირებელი სიტყვებით მოხსენიებას.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 26

სპეციალურმა მასწავლებელმა შესაძლებლობებისა და საჭიროებების შეფასების დროს სსსმ მოსწავლეს ობიექტები არათვალსაჩინო ნიშნების მიხედვით დააჯგუფებინა.

ჩამოთვლილთაგან რომელი უნარის შესაფასებლად გამოიყენა მასწავლებელმა აღწერილი აქტივობა?

ა) ყურადღების მოცულობის

ბ) ლოგიკური აზროვნების

გ) ხანმოკლე მეხსიერების

დ) აღქმის მთლიანობის

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 27

სპეციალურმა მასწავლებელმა მიზნად დაისახა სსსმ მოსწავლისათვის წელიწადის დროების სწავლება მულტიმოდალური მიდგომის გამოყენებით.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა შეესაბამება მულტიმოდალური სწავლების მეთოდს?

ა) მასწავლებელმა აღწერა წელიწადის თითოეული დრო და მოსწავლესთან ერთად დაამზადა კოლაჟები.

ბ) მასწავლებელმა მოსწავლეს უჩვენა წელიწადის დროების ამსახველი ბარათები შესაბამისი წარწერებით.

გ) მასწავლებელმა მოსწავლეს დაავალა წელიწადის დროებისათვის დამახასიათებელი ამინდების აღწერა.

დ) მასწავლებელმა ხმამაღლა წაუკითხა მოსწავლეს მოთხრობა წელიწადის დროებზე და იმსჯელა მასთან ერთად.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 28

სსსმ მოსწავლეს უყვარს ძერწვა, მაგრამ როდესაც ხელოვნების მასწავლებელი მოსწავლეებს რაიმეს დახატვას ავალებს, ის უარს ამბობს დავალების შესრულებაზე.

რომელი ქმედების/ქმედებების გამოყენებით შეძლებს მასწავლებელი მოსწავლის ჩართვას საერთო საკლასო აქტივობაში?

I. მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს საგაკვეთილო თემის შესაბამის კონტურულ ნახატებს პლასტილინით შეავსებინებს.

II. მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს ჰპირდება, რომ დავალების ფანქრით შესრულების შემდეგ ძერწვის უფლებასაც მისცემს.

III. მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს გამოაძერწინებს მისთვის სასურველ ფიგურებს, თანაკლასელებს კი გააფერადებინებს სასწავლო თემის შესაბამის ნახატებს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 29

სსსმ მოსწავლეს უჭირს სივრცული მიმართებების დაცვით ბადიან რვეულში წერა.

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე მეტად** რომელი აქტივობა დაეხმარება მოსწავლეს აღწერილი პრობლემის დაძლევაში?

ა) მასწავლებელი მოსწავლეს დაფაზე უწერს სიტყვებს და სთხოვს, რომ ისინი რვეულში გადაწეროს.

ბ) მასწავლებელი სწავლების დროს მიმართავს აკომოდაციას და წერით დავალებას ზეპირით ჩაუნაცვლებს.

გ) მასწავლებელი მოსწავლეს გამოაწერინებს მხოლოდ იმ ასოებს, რომლებიც რვეულის ბადის ზედა ნაწილში თავსდება.

დ) მასწავლებელი მოსწავლეს გადიდებულ ბადეში საორიენტაციო ხაზებს გაუმუქებს და ასოების მიმართულებას ისრებით მიანიშნებს.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 30

სსსმ მოსწავლეს ინტელექტუალური განვითარების დარღვევის საშუალო ხარისხი აქვს და სწავლების პროცესში საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას.

ჩამოთვლილთაგან რომელ დებულებაშია ასახული ესგ-ის მოდიფიკაცია?

ა) მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს ესგ-ის სტანდარტის შესაბამისად ასწავლის და სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს დამხმარე საშუალებებს.

ბ) მასწავლებელი იყენებს სსსმ მოსწავლის შეფასების ალტერნატიულ ფორმებს, წერითი გამოკითხვის ნაცვლად კი ზეპირი გამოკითხვის მეთოდს.

გ) მასწავლებელი დავალებების შესასრულებლად სსსმ მოსწავლეს აძლევს დამატებით დროს და ორგანიზებას უწევს ინდივიდუალურ გაკვეთილებს რესურს ოთახში.

დ) მასწავლებელი რაოდენობრივად ამცირებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს და სსსმ მოსწავლის შესაძლებლობების შესატყვისად ამარტივებს.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 31

მასწავლებელმა მშობელთა კრებაზე მიმოიხილა თავის საგანში კლასის საერთო შედეგები. კრებაზე ერთ-ერთი მოსწავლის მშობელმა მას საკუთარი შვილის აკადემიური მიღწევების შესახებ ჰკითხა. მასწავლებელმა უპასუხა: „თქვენს შვილს ალბათ გაუძნელდება პროგრამის დაძლევა. სკოლაში გვყავს სპეციალური მასწავლებელი და უმჯობესი იქნება, მას ვთხოვოთ დახმარება“.

მასწავლებლის მიერ მშობლისათვის ინფორმაციის მიწოდების ეს ფორმა პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით:

ა) **მართებულია,** რადგან მასწავლებელი უპასუხებს თავად მშობლის მიერ დასმულ კითხვას და ცდილობს, ობიექტურად დაანახვოს მას შვილის შესაძლებლობები.

ბ) **მართებული არ არის**, რადგან მასწავლებელმა მშობელს შვილის საჭიროებების შესახებ ინფორმაცია ინდივიდუალურად უნდა მიაწოდოს.

გ) **მართებულია,** რადგან მასწავლებელი ცდილობს, მშობელი დროულად გააფრთხილოს შვილის საჭიროებებისა და არსებული მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

დ) **მართებული არ არის,** რადგან მასწავლებელი ვალდებულია, ჯერ სპეციალურ მასწავლებელთან გადაამოწმოს თავისი ვარაუდი და მხოლოდ ამის შემდეგ აცნობოს მშობელს.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 32

მათემატიკის მასწავლებელი დაფაზე წერს მაგალითებს და ხსნის. სსსმ მოსწავლე ყურადღებით უსმენს, თუმცა, რადგან აბსტრაქტული ცნებების გაგების სირთულე აქვს, ვერ ხვდება, რაზე საუბრობს მასწავლებელი.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის მიერ შერჩეული რომელი სტრატეგია იქნება ეფექტიანი მოცემულ შემთხვევაში?

ა) მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს დამხმარე რესურსი, სსსმ მოსწავლეს მისცეს კონკრეტული ობიექტებით ოპერირების შესაძლებლობა და მაგალითები სმარტ დაფაზე შეასრულებინოს.

ბ) მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს გამეორების სტრატეგია - სსსმ მოსწავლეს დაფაზე დაწერილი მასალა ხმამაღლა წაუკითხოს, შემდეგ თვითონ გაამეორებინოს და ამოახსნევინოს.

გ) მასწავლებელმა სსსმ მოსწავლე უნდა ავარჯიშოს ჩანაწერების წარმოებაში, სთხოვოს, რვეულში ჩაინიშნოს მისთვის გაუგებარი ყველა ტერმინი და შემდეგ შეეკითხოს მასწავლებელს.

დ) მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მეტაკოგნიტური სტრატეგია - სსსმ მოსწავლეს შესთავაზოს, თვითონვე აღმოაჩინოს, სად ექმნება პრობლემები და გაუზიაროს მასწავლებელს.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 33

სსსმ მოსწავლის ინტელექტის დონეს ხშირად მოსწავლის დასწავლის უნარის სირთულეებთან მიმართებით განიხილავენ.

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე სსსმ მოსწავლის სირთულეების შესახებ გამოთქმული რომელი მსჯელობა/მსჯელობებია მართებული?

I. დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებს, როგორც წესი, ინტელექტის დაბალი მაჩვენებლები აქვთ.

II. ინტელექტის მაჩვენებლები პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია დასწავლის უნარის დარღვევასთან.

III. ინტელექტის მაღალი მაჩვენებლები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს დასწავლის უნარის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 34

კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა, რომელსაც მხოლოდ გადაადგილების შეზღუდვა აქვს და ეტლით სარგებლობს.

ჩამოთვლილთაგან სწავლების რომელი ფორმატი შეესაბამება მოსწავლის საჭიროებებს?

ა) სწავლება წარიმართოს სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებული ალტერნატიული სასწავლო მიზნების შესაბამისად.

ბ) სწავლება წარიმართოს ინტეგრირებულ კლასში სსსმ მოსწავლისათვის შედგენილი სპეციალიზებული პროგრამით.

გ) სწავლება წარიმართოს რესურს ოთახში სსსმ მოსწავლისათვის საგნისა და სპეციალური მასწავლებლების დახმარებით.

დ) სწავლება წარიმართოს კლასში თანაკლასელებთან ერთად სსსმ მოსწავლისათვის აკომოდაციის შესაბამისი ფორმის გათვალისწინებით.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 35

მოსწავლეს აღენიშნება ენა-მეტყველების სემანტიკური მხარის პრობლემა.

რომელი აქტივობის გამოყენებით დაეხმარება მასწავლებელი მოსწავლეს **ყველაზე უკეთ** აღნიშნული პრობლემის დაძლევაში?

ა) მასწავლებელი დეტალურად განუმარტავს მოსწავლეს სემანტიკის სხვადასხვა წესს, უხსნის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი ცოდნა თხრობისათვის და სთხოვს, დაისწავლოს.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეს თხრობის დროს ყურადღებას უმახვილებს არასწორად ნათქვამ სიტყვებსა და წინადადებებზე და უჩვენებს მათი სწორად წარმოთქმის მაგალითს.

გ) მასწავლებელი უხსნის მოსწავლეს, რომ ზოგჯერ ერთსა და იმავე სიტყვას, კონტექსტიდან გამომდინარე, განსხვავებული მნიშვნელობა აქვს და ავარჯიშებს მათ სწორად გამოყენებაზე.

დ) მასწავლებელი მოსწავლეს ნაბეჭდ ტექსტს ჩაუნაცვლებს სიუჟეტური ბარათებით და სთხოვს, რომ დაალაგოს ისინი მათზე ასახული ამბის შესაბამისი თანმიმდევრობით.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 36

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნისას მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სსსმ მოსწავლისათვის რელევანტური სასწავლო მიზნის განსაზღვრა.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა დაეხმარება მასწავლებელს სსსმ მოსწავლისათვის რელევანტური მიზნის შერჩევაში?

ა) მასწავლებელმა უნდა გამოავლინოს მოსწავლის ზოგადი ინტერესები და მათი გათვალისწინებით დაისახოს სასწავლო მიზანი.

ბ) მასწავლებელმა საგნობრივი პროგრამის საფუძველზე უნდა შეარჩიოს საშუალო სირთულის შესაბამისი შედეგი და ამის მიხედვით დაისახოს სასწავლო მიზანი.

გ) მასწავლებელმა უნდა გაიზიაროს სხვა საგნის მასწავლებლების გამოცდილება და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით დაისახოს სასწავლო მიზანი.

დ) მასწავლებელმა უნდა შეაფასოს საგნობრივ პროგრამაში მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე და ამის მიხედვით დაისახოს სასწავლო მიზანი.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მისი მაქსიმალური ქულა.

გაითვალისწინეთ: ღია დავალების პასუხში დისკრიმინაციული ტერმინის გამოყენების შემთხვევაში დაგაკლდებათ ერთი ქულა!

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 37

მაქსიმალური ქულა - 3

„ჩვენ გვეშინია, როცა სხვა ადამიანი გვეხუტება. მე თვითონ მაქვს აუტიზმი და მეც მინდა ვგრძნობდე ჩახუტებას, ამიტომ თვითსტიმულაციისათვის ხშირად ვტრიალებ, ვკოტრიალობ, სკამზე ვირწევი ან ტაშს ვუკრავ“.

(ბიოგრაფიული ფილმის „თემპლ გრანდინი“ მიხედვით, რეჟისორი მიკ ჯეკსონი, 2010 წ.)

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც უნდა აირჩიოს მასწავლებელმა სსსმ მოსწავლის მიერ გაკვეთილზე სტერეოტიპული ქცევის გამოვლენის შემთხვევაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანობა.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 38

მაქსიმალური ქულა -3

მხედველობის დარღვევის შესახებ გამოთქმული მსჯელობებიდან ზოგიერთი მითია, რაც ართულებს ამ პრობლემის მქონე მოსწავლესთან მუშაობის სწორი სტრატეგიების შერჩევას.

ქვემოთ წარმოგიდგენთ მსჯელობებს, რომლებიც მხედველობის დარღვევის შესახებ არის გამოთქმული:

1. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის ხშირმა ჩართვამ ვიზუალურ აქტივობებში შესაძლოა გამოიწვიოს მხედველობის კიდევ უფრო გაუარესება და, შესაბამისად, ნარჩენი მხედველობის დაკარგვაც.
2. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებში ცნებების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს ნელა, ახასიათებს ფრაგმენტულობა და გენერალიზების სირთულე.

– წარმოდგენილთაგან შეარჩიეთ რეალობის ამსახველი მართებული მსჯელობა და აღწერეთ სტრატეგია, რომელიც მასში გადმოცემული პრობლემის დაძლევაში დაგეხმარებათ.

– დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანობა.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 39

მაქსიმალური ქულა - 3

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს დასწავლის უნარის დარღვევა აქვს. გაკვეთილზე წერითი დავალების შესრულების დროს ის ხშირად უშვებს შეცდომებს და ამას ძალიან განიცდის: „არ შემიძლია“, „ცუდად ვწერ“, „რა ვქნა, არ გამომდის“. მასზე განსაკუთრებით მტკივნეულად მოქმედებს, როდესაც თავის და თანაკლასელების ნამუშევარს ერთმანეთს ადარებს. ასეთ დროს ის საერთოდ უარს ამბობს დავალების შესრულებაზე.

- აღწერეთ მასწავლებლის ქმედება, რომელიც დაეხმარება მოცემული პრობლემების მქონე სსსმ მოსწავლეს, რომ ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ არჩეული სტრატეგიის ეფექტიანობა.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a

დავალება N 40

*დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მაქსიმალური ქულა - 3

წარმოგიდგენთ ფრაგმენტს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან:

მოსწავლის აკადემიური და კოგნიტური უნარების აღწერა

შემეცნების სფერო	**ძლიერი მხარეები**	**საჭიროებები**
აზროვნება	• მოსწავლეს შეუძლია ყოველდღიური რუტინის ამსახველი 3-4 სიუჟეტური სურათის სწორი თანმიმდევრობით დალაგება.	• მოსწავლეს უძნელდება ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წვდომა.

ქვემოთ მოცემულ მითითებებზე პასუხი გაეცით მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გაითვალისწინებით:

- აღწერეთ აქტივობა, რომელიც სსსმ მოსწავლეს დაეხმარება აზროვნების განვითარებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი აქტივობის ეფექტიანობა.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 1a 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 40a